

დანართი N 1

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

ინფორმაცია იურიდიული პირის ან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის შესახებ

სახელწოდება	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო ნომერი	204864548
მისამართი	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N 1
საკონტაქტო პირი	ქეთევან ცინცაძე
ელექტრონული ფოსტა	tsuLLL@tsu.ge
საკონტაქტო ტელეფონი	222 36 52

ზოგადი მონაცემები პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	გეოგრაფია (პროფესიული ცოდნა, გეოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგია).
პროგრამის მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს გეოგრაფიის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და მათ მომზადებას სასერტიფიკაციო გამოცდისათვის. პროგრამაში მონაწილე გეოგრაფიის მასწავლებლები გაეცნობიან თანამედროვე გეოგრაფიის განვითარების თავისებურებებს, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მეთოდებს, ინტერ-აქტიურ სწავლებაში გეოგრაფიული თვალსაჩინოების გამოყენების უნარ-ჩვევებს, თანამედროვე გეოგრაფიის კვლევის მეთოდებს, გეოგრაფიის საბაზო და საშუალო სკოლის პროგრამის ძირითადი პრინციპებს, სასკოლო სახელმძღვანელოების სტრუქტურას, თანამედროვე გეოგრაფიის მნიშვნელობას გლობალური ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების წარმოჩენაში გეოგრაფიული კვლევის სავსე და კამერალურ მეთოდებს,

	სასწავლო და შემეცნებითი პროცესის დაგეგმვას და სხვა.
პროგრამის შედეგი	<p>პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: გეოგრაფიის მეთოდოლოგიური და მეთოდური თავისებურებების განსაზღვრას; გეოგრაფიის კვლევის საშუალებების და მეთოდების გამოყენებას; თანამედროვე გეოგრაფიის მნიშვნელობის დასაბუთებას მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის; ჯგუფურ მუშაობას, პროექტის განხორციელებას, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის წარმართვის ხერხებს, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების თავისებურებების გააზრებას სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე; მიიღებს საჭირო ცოდნას კამერალური და საველე კვლევის მეთოდების შესახებ. შექმნის გეოგრაფიული თვალსაჩინოებისა და გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზების ელექტრონულ კარტოთეკას; დააგროვებს და გამოიყენებს თანამედროვე ინფორმაციას ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შესახებ; დახელოვნდება გეოგრაფიის სწავლებისას ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებაში, გაეცნობა ბუნების ცალკეული კომპონენტების საველე კვლევის მეთოდებს, რასაც გამოიყენებს სასწავლო ექსკურსიების ორგანიზებისას. რუკის ენის გაგებას და გეოგრაფიული ხელსაწყოების გამოყენებით ინფორმაციის მოძიებას; თემატიკის შესაბამისი გეოგრაფიული კვლევის (მათ შორის საველეს) დაგეგმვას; პრობლემების, გეოგრაფიული მიზნის, მისი გადაჭრის გზებისა და მიმართულების განსაზღვრას; გეოგრაფიული პრობლემის გადაჭრასა და კვლევის შედეგების არგუმენტირებულად წარმოჩენას; გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენებას; გეოგრაფიული ფაქტების მოსაზრებისაგან განსხვავებას; რუკებისა და სხვა გეოგრაფიული საშუალებების გამოყენებით საკუთარი მოსაზრების გამოხატვას; მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობას; გეოგრაფიული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით დამუშავებული გეოგრაფიული თემის პრეზენტაციას.</p>
პროგრამის მოკლე აღწერა - ძირითადი თემები, რომლებსაც მოიცავს პროგრამა	<p>პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია როგორც გეოგრაფიის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების, ისე გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემების განხილვა.</p> <p>პროგრამის ძირითადი თემებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გეოგრაფიის არსი, გეოგრაფიის კვლევის საგანი და ამოცანები; გეოგრაფიული გარსი და მისი შედგენილობა; გეოგრაფიის კვლევის ობიექტები.

2. გეოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.
3. ერთიანი გეოგრაფია; გეოგრაფიის სტრუქტურა; გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა.
4. გეოგრაფიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში და კავშირი სხვა მეცნიერებებთან; თანამედროვე გეოგრაფიისთვის დამახასიათებელი პროცესები.
5. გეოგრაფიის განვითარების ისტორია და გეოგრაფიული იდეების განვითარება; გეოგრაფიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები; საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.
6. გეოგრაფიის მეთოდოლოგია, ანალიზი და სინთეზი გეოგრაფიაში; გეოგრაფიული მიდგომა; გეოგრაფიის ტერმინოლოგიური აპარატი; გეოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია.
7. გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები გეოგრაფიაში; მონაცემთა ბაზები და კარტოგრაფიული გამოსახულებანი.
8. გეოგრაფიის სწავლების მეთოდები: შედარების, ანალიზის და სინთეზის მეთოდი; ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლება; მასწავლებლის წიგნი და მასში მოტანილი სწავლების მეთოდები.
9. სასკოლო გეოგრაფიის განვითარების ისტორია.
10. გეოგრაფიის გაკვეთილის ტიპები და სტრუქტურა; გეოგრაფიის გაკვეთილის ანალიზის სქემა.
11. საველე - გეოგრაფიული კვლევა და სასწავლო ექსკურსიების დაგეგმარება; ორიენტირება და რუკის კითხვის მეთოდოლოგია; სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები.
12. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევები და სწავლების მეთოდოლოგია.
13. გეოგრაფიული შეფასება და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტივობა.
14. გეოგრაფიული პრობლემები და გეოგრაფიის მნიშვნელობა გლობალური, რეგიონული და ლოკალური პრობლემების წარმოჩენაში; კავკასია და მეზობელი ქვეყნების გეოგრაფიული

	<p>თავისებურებანი.</p> <p>15. საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები; დემოგრაფიული კვლევის მეთოდები და გრაფიკული საშუალებები.</p> <p>16. გეოგრაფიული კანონზომიერებები, სწავლებანი, თეორიები და კონცეფციები.</p> <p>17. საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების გეოგრაფიული თავისებურებანი; ბუნებრივი რესურსების, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სივრცე-დროითი თავისებურებანი.</p> <p>18. გლობალური პრობლემების გეოგრაფია; ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები.</p> <p>19. მთები და მასთან დაკავშირებული პრობლემები; წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.</p> <p>20. დემოგრაფიული პრობლემების გეოგრაფია; ურბანიზაცია და დასახლებული პუნქტები.</p> <p>21. გეოგრაფიული გარემო და მეურნეობა; ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება; დაცული ტერიტორიების სისტემა.</p> <p>22. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გეოგრაფია.</p> <p>23. გეოგრაფია და კულტურა.</p> <p>24. საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური საკითხები; გეოგრაფიის ასპარეზი.</p>
<p>მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელსაც შეესაბამება პროგრამა</p>	<p>პროგრამა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით მსმენელები გაეცნობიან თანამედროვე გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებს, განსაზღვრავენ მათ მნიშვნელობას სასწავლო პროცესისათვის, შეისწავლიან მათი გადაცემის მეთოდებს. პროგრამის მიზანი შეესაბამება გეოგრაფიის მასწავლებლის სტანდარტს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რომელიც გეოგრაფიის სასწავლო პროგრამასაც შეეხო, აუცილებელი გახადა მასწავლებელთა პროფესიული მომზადება,</p>

რადგან მასწავლებლები სწორედ ახალი საკითხების ცოდნის დეფიციტს განიცდიან. პროგრამის მიზანია მეტი ყურადღება დაეთმოს სასწავლო გეგმის შინაარსით გათვალისწინებულ იმ თემებს, რომლებიც ადრე არ ისწავლებოდა. მყარი საგნობრივი ცოდნით აღჭურვილ მასწავლებელს უკვე აღარ უჭირს შესაბამისი გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების სქემის წარმოდგენა. სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, მსმენელები ასევე დაეუფლებიან საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის, ჯგუფური მუშაობის, ინტერაქტიური სწავლების, დავალებების შერჩევისა და შედგენის ხერხებს; გაეცნობიან არსებულ გრაფიკულ და კარტოგრაფიულ მასალას.

მიმართულება: დრო და სივრცე

რუკის ენის გაგება; რუკის, ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებისა (სქემა,დიაგრამა,ფოტო, ცხრილი, გრაფიკი) და გეოგრაფიული ხელსაწყოების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება;

რუკებიდან მოპოვებული ინფორმაციის დაკავშირება გეოგრაფიულ ცოდნასთან და ამის საფუძველზე ადგილის, მოვლენისა და პროცესების დახასიათება,კანონზომიერებების დადგენა: რელიეფის, ჰიდროგრაფიული ქსელის, რესურსების, განსახლებების, მოსახლეობის, სოციალური ეკონომიკური სისტემების,სატრანსპორტო სისტემის შესახებ ინფორმაციის მოძიება-ანალიზი.

მიმართულება: გეოგრაფიული კვლევა

თემატიკის შესაბამისი გეოგრაფიული კვლევის (მათ შორის საველეს) დაგეგმვა; პრობლემების, გეოგრაფიული მიზნის, მისი გადაჭრის გზებისა და მიმართულების განსაზღვრა; გეოგრაფიული კვლევის განსახორციელებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და დამუშავება; გეოგრაფიულ პრობლემის გადაჭრა, კვლევის შედეგების არგუმენტირებულად წარმოჩენა; გეოგრაფიული თემის სტრუქტურული ორგანიზაცია.

მიმართულება: გეოგრაფიული ინტერპრეტაცია

გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენება; გეოგრაფიული ფაქტების მოსაზრებისაგან განსხვავება; სხვადასხვა ფორმატში (წერიტი, ზეპირი, ვისუალური) წარმოდგენილი ინფორმაციის გააზრება და აღქმად ფორმატში წარმოჩენა.

მიმართულება: კომუნიკაცია

	რუკებისა და სხვა გეოგრაფიული საშუალებების გამოყენებით საკუთარი მოსაზრების გამოხატვა; გეოგრაფიული კვლევის შედეგებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა; მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობა; გეოგრაფიული თემის დაწერა; გეოგრაფიული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაოს დანაწილება, განხილვა; დამუშავებული გეოგრაფიული თემის პრეზენტაცია.
პროგრამის ხელმძღვანელი	ნოდარ ელიზბარაშვილი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ გეოგრაფიის მიმართულების სრული პროფესორი. nelizbarashvili@yahoo.com ტელ. 599 410 804
პროგრამის შემუშავების თარიღი	2011 წელი
პროგრამის მოცულობა ECTS-კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით	პროგრამის მოცულობა: 3 ECTS კრედიტი (45 საკონტაქტო, 30 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ 75 საათი)
პროგრამის ხანგრძლივობა/განაწილება დროში	5 კვირა, 45 საკონტაქტო საათი, 30 საათი დამოუკიდებელი მუშაობა. I კვირა – 10 საკონტაქტო საათი, II კვირა – 10 საკონტაქტო საათი, მე-3 კვირა – 10 საკონტაქტო საათი, მე-4 კვირა – 10 საკონტაქტო საათი, მე-5 კვირა 5 საკონტაქტო საათი, ხოლო შუალედში – 30 საათი დამოუკიდებელი მუშაობა. შესაძლებელია 3X3 სატრენინგო დღე (15 საკონტაქტო სთ) მიყოლებით 2 კვირიანი შუალედებითა დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად. ტრენინგის დროში განაწილება დამოუკიდებელია მსმენელთა საჭიროებებზე.
პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი	პროგრამა განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის გეოგრაფიის მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის.
პროგრამაში ჩართვის წინაპირობა	გეოგრაფიის მასწავლებლის, გეოგრაფიის ბაკალავრის, გეოგრაფიის მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული დიპლომის მქონე პირები. მონაწილეები უნდა იცნობდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ტრენინგზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა	ჯგუფში მსმენელების მინიმალური რაოდენობა – 15, მაქსიმალური რაოდენობა –24
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის (მწვრთნელების) რაოდენობა და ვინაობა	<p>პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 2 მწვრთნელი;</p> <p>ნოდარ ელიზბარაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის მიმართულების სრული პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი.</p> <p>გიორგი მელაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.</p>
წლიური რეგიონული დაფარვა და გამტარიანობა	დაფარული იქნება საქართველოს ყველა რეგიონალური ცენტრი მოთხოვნის შესაბამისად, წლის განმავლობაში ჩატარდება 10–12 ტრენინგი
პროგრამის გავლის საფასური	120 ლარი
ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ	<p>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ II, X და XI კორპუსებში, აგრეთვე თსუ-ის ქალაქ ქუთაისში არსებულ სასწავლო კორპუსში.</p> <p>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ შემდეგი კომპიუტერული რესურს-ცენტრებით და საშუალება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები პროფესიული განვითარების მიზნით.</p> <p>ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.</p> <p>გეოგრაფიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ ბიბლიოთეკებით, სადაც ინახება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო.</p>

